

თავი - 7

ბუღალტრული აღრიცხვის ციკლი

შინაარსი

- ❖ სამურნეო ოპერაციის ანალიზი, ბუღალტრული გატარება და ანგარიშებზე ასახვა.
- ❖ მარეგულირებელი გატარებები
- ❖ დასკვნითი გატარებები
- ❖ ფინანსური ანგარიშების მომზადება
- ❖ სააღრიცხვო სისტემები

7 . 1 . სამეურნეო ოპერაციის ანალიზი, ბუღალტრული გატარება და ანგარიშებზე ასახვა.

სააღრიცხვო პროცესების თანმიმდევრულობას სამეურნეო ოპერაციის პირველადი ასახვიდან, ფინანსური ანგარიშების შედგენამდე - **აღრიცხვის ციკლი** ეწოდება. იგი მოიცავს სხვადასხვა პროცესებს. იმისათვის, რომ კარგად გავერკვიოთ თუ რას გულისხმობს აღრიცხვის ციკლი, ყველა პროცესი განვიხილოთ პრაქტიკული მაგალითის საფუძველზე.

აღრიცხვის ციკლის უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს - სამეურნეო ოპერაციის ანალიზი.

რომ დავარეგისტრიროთ სამეურნეო ოპერაცია, პირველ რიგში უნდა გავაანალიზოთ მოქმედების საგნის მიხედვით რა ორმაგ გავლენას ახდენს საწარმოს ანგარიშებზე. ანალიზის შედეგად მიიღება გადაწყვეტილება, თუ რომელი ანგარიში დადებეტდება და რომელი დაკრედიტდება. ამასთანავე შენარჩუნებული უნდა იყოს ორი ძირითადი იგივეობა:

- 1) **აქტივები = გაღდებულებებს + კაპიტალი და**
- 2) **დებეტები = კრედიტებს.**

საილუსტრაციო მაგალითი:

ბატონმა დიმიტრიმ $20X2$ წლის 1 აგვისტოს დაარსა ქომპანია - კერძოდ შპს „*X*“. აგვისტოში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სამუშაოები მიმდევანულობაში.

ამ სამეურნეო ოპერაციების მაგალითზე შევასრულოთ აღრიცხვის ციკლის სამი მნიშვნელოვანი პროცესურა:

1. ანგარიშის გახსნა (რამდენადაც პირველად სრულდება ეს სამეურნეო ოპერაციები).
2. სამეურნეო ოპერაციების ანალიზი და მოკორესპონდენტო ანგარიშების განსაზღვრა.
3. ოპერაციის ბუღალტრული გატარება.
4. ოპერაციის ასახვა ანგარიშებზე.

მოვახდინოთ ყველა სამეურნეო ოპერაციის დანომვრა და ამ ნომრით ავსახოთ ის ანგარიშებზე.

1. დიმიტრიმ 1-ლ აგვისტოს საწარმოს საბანკო ანგარიშზე კაპიტალის სანით შეიტანა **5.000 ლარი**, როგორც მფლობელმა.

ანალიზი: ამ სამეურნეო ოპერაციამ გაადიდა ფულადი სახსრები **5.000 ლარი** და მისი წყარო კაპიტალის ანგარიში. ფულადი სახსრები აქტიური ანგარიშია და გადიდება-დებუტით, ხოლო კაპიტალი პასურია და გადიდება -კრედიტით.

ოპერაციის ბუღალტრული გატარება იქნება:

- დ. **1210 „ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკში” – 5.000**
- კ. **5150 „საწესდებო კაპიტალი” – 5.000.**

პირველ რიგში უნდა გაიხსნეს შესაბამისი ანგარიშები. ორივე ანგარიში მუდმივი-საბალანსო ანგარიშია, რომელსაც წინა ნაშთები ამ შემთხვევაში 0-ის ტოლი აქვთ. ამის შემდეგ 1-ნომრით ორივე ანგარიშზე ავსახოთ ოპერაცია:

1210		5150	
„ეროვნული კალუტა ბანკში”		„საწესდებო კაპიტალი”	
დ	გ	დ	გ
6-0			6-0
1) 5.000			1) 5.000

2. 1-ლ აგვისტოს ფირმამ მეიჯარესთან გაფორმებული ზელშეკრულების საფუძველზე წინასწარ გადაიხდა ერთი თვის შენობის იჯარის გადასახადი 750 ლარი.

ანალიზი: ამ ოპერაციით ფულადი სახსრები შემცირდა კრედიტით. ანგარიში “წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა” გაიზარდა დებუტით.

ოპერაციის ბუღალტრული გატარება იქნება:

- დ. 1720 „წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა” - 750
კ. 1210 „ეროვნული კალუტა რეზიდენტ ბანკში” - 750

1210		1720	
„ეროვნული კალუტა ბანკში”		„წინასწარ გადახდ. საიჯარო ქირა”	
დ	გ	დ	გ
6-0		6-0	
1) 5.000	2) 750	2) 750	

3. ფირმამ 1 აგვისტოს აღდო 4.000 ლარის 12%-იანი სესხი 2 წლის ვადით ბანკისავან, პროცენტის ყოველკვარტლობური და ძირითადი თანხის ორწლიანი ვადის ამოწურვისას გადახდის პირობით.

ანალიზი: ამ ოპერაციით ფულადი სახსრები გაიზარდა დებუტით. სასესხო ვალლიდებულება გაიზარდა კრედიტით.

ოპერაციის ბუღალტრული გატარება იქნება:

- დ. 1210 „ეროვნული კალუტა რეზიდენტ ბანკში” - 4.000
კ. 4140 „გრძელვადიანი სესხი” - 4.000.

1210		4140	
„ეროვნული კალუტა ბანკში”		„გრძელვადიანი სესხები”	
დ	გ	დ	გ
6-0		6-0	
1) 5.000	2) 750	3) 4.000	

4. 3 აგვისტოს შეძენილი იქნა 7.200 ლარის ღირებულების დანადგარი ბანკიდან გადახდით, რომლის სასარგებლო მომსახურების გადა შეადგენს 10 წელს.

ანალიზი: ამ ოპერაციით ფულადი სახსრები შემცირდა, ძირითადი საშუალების მაჩქანა-დანადგარების ანგარიში გაიზარდა დებუტით.

ოპერაციის ბუღალტრული გატარება იქნება:

დ. 2150 „მანქანა-დანადგარები” – 7.200

კ. 1210 „ეროვნული კალუტა რეზიდენტ ბანკში” – 7.200

1210 „ეროვნული კალუტა ბანკში”	
ლ	ლ
6-0	
1) 5.000	2) 750
3) 4.000	4) 7.200

2150 „მანქანა-დანადგარები”	
ლ	ლ
6-0	
4) 7.200	

5. 14 ავგისტოს კრედიტში შეძენილი იქნა 8.000 ლარის მარავი.

ანალიზი: ამ ოპერაციით სასაქონლო-მატერიალური მარავი გაიზარდა დებუტით, მომწოდებლის კალდებულებები კი გაიზარდა კრედიტით.

ოპერაციის ბუღალტრული გატარება იქნება:

დ. 1610 „საქონელი” - 8.000

კ. 3110 „მომწოდებლის კალდებულებები” - 8.000

1610 „საქონელი”	
ლ	ლ
6-0	
5) 8.000	

3110 „მომწოდებლის კალდებულებები”	
ლ	ლ
	6-0
	5) 8.000

6. ავგისტოს რეალიზაციის მოცულობამ შეადგინა 12.000 ლარი. ფული მიღებულია საბანკო ანგარიშზე

ანალიზი: ამ ოპერაციით ფულადი სახსრები გაიზარდა დებუტით. ეს სამეურნეო ოპერაცია ზრდის მოგებას. მაგრამ პირდაპირ მოგების ანგარიშზე არ აისახება. ის პერიოდის ბოლომდე აისახება ტრანზიტულ დროებით ანგარიშზე კრედიტით „შემოსავალი რეალიზაციიდან”.

ოპერაციის ბუღალტრული გატარება იქნება:

დ. 1210 „ეროვნული კალუტა რეზიდენტ ბანკში” - 12.000

კ. 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან” - 12.000.

1210 „ეროვნული გალუტა ბანკში”		6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან”	
ლ	ლ	ლ	ლ
6-0			
1) 5.000	2) 750		
3) 4.000	4) 7.200		
6) 12.000		6) 12.000	

7. ჩამოიწერა რეალიზაციისათვის დახარჯული საქონლის ღირებულება, რომელიც შეადგენს 6.000 ლარს.

ანალიზი: ამ ოპერაციით საქონლის ანგარიში მცირდება კრედიტით. შემოსავლების მისაღებად მოხმარებული რესურსები – ეს არის ხარჯები. რომელიც დებუტდება სატრანზიტო ანგარიშზე “რეალიზებული საქონლის ღირებულება”.

ოპერაციის ბუღალტრული გატარება იქნება:

დ. 7200 „რეალიზებული საქონლის ღირებულება” – 6.000
ქ. 1610 „საქონელი” – 6.000.

1610 „საქონელი”		7200 „რეალიზ. საქ. თვითღირებულება”	
ლ	ლ	ლ	ლ
6-0			
5) 8.000	7) 6.000	7) 6.000	

8. თვის ბოლოს სხვადასხვა კომუნალური სამსახურებიდან (წყალი, ელ-ენერგია, დასუფთავება) მიღებულია ანგარიშები გაწეული მომსახურების შესახებ, მოლიანი თანხით 450 ლარი.

ანალიზი: ამ ოპერაციით რაძენადაც ანგარიშები ჯერ კიდევ გადაუხდელია, გაიზრდება „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები” კრედიტით. ეს მომსახურებები აგვისტოს თვის ხარჯებს წარმოადგენს და გაიზრდება ტრანზიტული ანგარიში “სხვა საერთო ხარჯი” დებუტით.

ოპერაციის ბუღალტრული გატარება იქნება:

დ. 7490 „სხვა საერთო ხარჯი” - 450
ქ. 3190 „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები” - 450

3190 „სხვა მოკლევად. ვალდებულებები”		7490 „სხვა საერთო ხარჯი”	
ლ	ლ	ლ	ლ
	6-0		
	8) 450	8) 450	

9. 30 აგვისტოს გასტუმრებული იქნა 4.800 ლარის ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურეობიდან.

ანალიზი: ამ ოპერაციით ვალდებულებების გადახდა ცხადია გამოიწვევს ფულადი სახსრების შემცირებას კრედიტით. ასევე შემცირდება მოკლევადიანი ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურეობიდან დებუტით.

ოპერაციის ბუღალტრული გატარება იქნება:

- დ. 3110 „ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურეობიდან” – 4.800
კ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზივენტ ბანკში” – 4.800

1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში”	
ლ	ბ
6-0	
1) 5.000	2) 750
3) 4.000	4) 7.200
6) 12.000	9) 4.800

3110 „მომწოდებლის ვალდებულება”	
ლ	ბ
9) 4.800	5) 8.000

ამ ოპერაციით დასრულდა აგვისტოს თვე. ანგარიშებზე ასეთი ოპერაციის ჩანაწერებს **პირველად ჩანაწერებს** ვეძახით და ისინი შესაბამის ოპერაციების ამსახველ დოკუმენტების საფუძველზე კეთდება. ამის შემდეგ ხდება ყველა ანგარიშის დაჯამება და განაშობა. ეს პროცედურები ჩვენ წინა თავში განვიხილეთ, ანლა უბრალოდ გავიხსენოთ:

1) **მუდმივი** - (საბალანსო) ანგარიშების განაშობა ხდება შემდეგნაირად:

- ✓ აქტიური ანგარიში – წინა, სადებუტო ნაშთს ემატება დებეტების ბრუნვების ჯამი და აკლდება კრედიტის ბრუნვების ჯამი, ნაშთი გვრჩება დებეტში;
- ✓ პასიური ანგარიში – წინა, საკრედიტო ნაშთს, ემატება კრედიტების ბრუნვების ჯამი და აკლდება დებეტების ბრუნვების ჯამი, ნაშთი გვრჩება კრედიტში.

2) **დროებითი** - (მუგება-ზარალის) ანგარიშებზე - მხოლოდ ბრუნვები ჯამდება.

ჩვენი კომპანიის ანგარიშები დაჯამებისა და განაშობის შემდეგ ასეთ სახეს მიიღებს:

1210 „ეროვნული ვალუტა ბანკში”	
ლ	ბ
6-0	
1) 5.000	2) 750
3) 4.000	4) 7.200
6) 12.000	9) 4.800
ბრ - 21.000	ბრ - 12.750
6 - 8.250	

5150 „საწარმოებო კაპიტალი”	
ლ	ბ
	6-0
	1) 5.000
ბრ - 0	ბრ - 5.000
	6 - 5.000

1720	
„Բնակչար զարգածք. և ոչարո յուրա”	
Ը	Ճ
6-0	
2) 750	
Ճ - 750	Ճ - 0
6 - 750	

4140	
„Ճրմշլշաճուն կյսեն”	
Ը	Ճ
	6-0
	3) 4.000
Ճ - 0	Ճ - 4.000
	6 - 4.000

2150	
„մանյան-դանալցարյան”	
Ը	Ճ
6-0	
4) 7.200	
Ճ - 7.200	Ճ - 0
6 - 7.200	

3190	
„Նեցա մոյլշպաֆ. զալությալշեծա”	
Ը	Ճ
	6-0
	8) 450
Ճ - 0	Ճ - 450
	6 - 450

1610	
„Տայոնյալո”	
Ը	Ճ
6-0	
5) 8.000	7) 6.000
Ճ - 8.000	Ճ - 6.000
6 - 2.000	

3110	
„Ժոմժութան զալությալշա”	
Ը	Ճ
	6-0
9) 4.800	5) 8.000
Ճ - 4.800	Ճ - 8.000
	6 - 3.200

6110	
„Ջմռևացալո ըշալունացութան”	
Ը	Ճ
	6) 12.000
Ճ - 0	Ճ - 12.000

7200	
„Ռյալութ. և այլ. տշոտուրշյալշա”	
Ը	Ճ
7) 6.000	
Ճ - 6.000	Ճ - 0

7490	
„Նեցա և յարտու նարչո”	
Ը	Ճ
8) 450	
Ճ - 450	Ճ - 0

იმისათვის, რომ ამ მაგალითის საფუძველზე მარტივად ავხსნათ მთელი სააღრიცხვო ციკლი, დაუშვად, რომ მხოლოდ ეს ოპერაციებია განხორციელებული საანგარიშგებო პერიოდში.

გავაგრძელოთ სააღრიცხვო ციკლის შემდეგი ეტაპი. ანგარიშების განაშთების შემდეგ ბუღალტერს შეუძლია შეადგინოს **საცდელი ბალანსი** (იხ. სქემა №1)

სქემა №1

შპს “X”

საცდელი ბალანსი (მარეგულირებელ გატარებებამდე)

20X2 წლის 1 სექტემბრისთვის

№	ანგარიშის დასახელება	ანგ. №	ღებულობა	კრედიტი
მუდმივი ანგარიშები				
1	“ეროვნული კალუტა რეზიდენტ ბანკში”	1210	<i>8.250</i>	
2	“საქონელი”	1610	<i>2.000</i>	
3	“წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა”	1720	<i>750</i>	
4	“შანქანა-დნადგარები”	2150	<i>7.200</i>	
5	“ვალდებულებები მოწოდებილან და მომსახურებილან”	3110		<i>3.200</i>
6	“სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები”	3190		<i>450</i>
7	“ვრძელვადიანი სესხი”	4140		<i>4.000</i>
8	“საწესდებო კაპიტალი”	5150		<i>5.000</i>
დროუბითი ანგარიშები				
9	“შემოსავალი რეალიზაციიდან”	6110		<i>12.000</i>
10	“რეალიზებული საქონლის თვითღირებულება”	7200	<i>6.000</i>	
11	“სხვა საერთო ხარჯი”	7490	<i>450</i>	
ჯამი:			24.650	24.650

საცდელი ბალანსი დგება თითოეული ანგარიშის ნაშთის განსაზღვრის შემდეგ და წარმოადგენს ანგარიშების დასახელებების ჩამონათვალს და ნაშთებს დროის მოცემული მომენტისათვის, რომელშიც სადებულო ნაშთები ნაჩვენებია ერთ სვეტში და საკრედიტო – მეორეში. საცდელი ბალანსის მომზადება ემსახურება ორ მიზანს:

- 1) ის გვიჩვენებს შენარჩუნებულია თუ არა დებეტებისა და კრედიტების ტოლობა;
- 2) უზრუნველყოფს ანგარიშების წიგნიდან მოკლე ჩანაწერის გაკეთებას, რომლის საფუძველზეც ფინანსური ანგარიშების შედგენის წინ გაკეთდება პერიოდის მარეგულირებული და დასკნითი გატარებები.

7 . 2 . მარეგულირებელი გატარებები

აქმდე ჩვენს მიერ ანგარიშებზე განხორციელებული ჩანაწერები პირველადი ჩანაწერებია, რომელიც როგორც ავლნიშნეთ შესაბამისი დოკუმენტის განმახორციელებელ ოპერაციებს ასახავდა. ამის გარდა არსებობს ისეთი მოვლენებიც, რომელიც გავლენას ახდენს ანგარიშებზე, თუმცა არ არის გადმოცემული პირველადი დოკუმენტებით. ასეთი მოვლენების შედეგები რეგისტრირდება სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს მარეგულირებელი გატარებების დახმარებით. მათ ამოცანას წარმოადგენს ანგარიშის ნაშთის ისეთი დაკორექტირება, რომ ის სამართლიანად ასახავდეს სიტუაციას პერიოდის ბოლოს.

მარეგულირებელი გატარებების საჭიროება ძირითადად განპირობებულია დარიცხვის მეთოდის მოთხოვნების გასათვალისწინებლად, ჩვენ ეს საკითხი წინა თავებში განვიხილეთ, ესლა კი გავიხსენოთ, რომ კონცეფციის თანახმად შემოსავლების და ხარჯების მიკუთვნება უნდა ხდებოდეს შესაბამის პერიოდზე და ფულის გადახდის ან არ გადახდის საკითხი არ განსაზღვრავს მას. მარეგულირებელი გატარებები კეთდება ძირითადად ისეთ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც თავისი შინაარსით უწყვეტ სამეურნეო ოპერაციებს წარმოადგენენ.

მარეგულირებელი გატარებები შეიძლება სხვადასხვა საფუძვლით იყოს წარმოშობილი, რომელსაც თანდათან მაგალითებში გავეცნობით. ამ ეტაპზე განვიხილოთ ის შემთხვევები, რომელიც ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში გვხვდება.

საილუსტრაციო მაგალითი:

კომპანია „X“-ის საცდელი ბალანსის განხილვამ გამოავლინა მარეგულირებელი გატარების საჭიროება შემდეგი მუხლისათვის:

10. იჯარის ხარჯთან დაკავშირებული მარეგულირებელი გატარება.

ანალიზი: აგვისტოს დასაწყისში წინასწარ გადახდილი იჯარისაგან კომპანიამ სარგებელი უკვე მიიღო ამიტომ აქტივი “წინასწარ გაწეული ხარჯები” მცირდება კრედიტით. იჯარა მიუკუთვნება აგვისტოს თვის თერაციებს, ამიტომ იზრდება აგვისტოს თვის ხარჯი ანგარიში „საიჯარო ქრა“ დებუტით.

თერაციის ბუღალტრული გატარება იქნება:

დ. 7420 „საიჯარო ქრა“ - 750

კ. 1720 „წინასწარ გადახდილი საიჯარო ქრა“ - 750

1720	
„წინასწარ გადახდ. საიჯარო ქრა“	
ლ	კ
6-0	
2) 750	
ბრ – 750	ბრ – 0
6 – 750	10) 750
6 – 0	

7420	
„საიჯარო ქრა“	
ლ	კ
10) 750	
ბრ – 750	

11. ცვეთის ხარჯთან დაკავშირებული მარეგულირებელი გატარება.

ანალიზი: კომპანიას შეძენილი აქვს ძირითადი საშუალება მანქანა დანადგარი, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადა იქნება 10 წელი (120 თვე). ე.ი. კომპანია ამ დანადგარიდან სარგებელს ელოდება 10 წლის (120 თვის) განმავლობაში და ამ პერიოდის განმავლობაში აღიარებს ხარჯს. მიღებულია ერთი თვის სარგებელი, ამიტომ პირველადი ღირებულების 7200 ლარის 1/120-დი ნაწილი (60 ლარი) დადებულდება ანგარიშზე „**ცვეთის ხარჯი**“.

ცვეთის საკითხი ცალკე იქნება ვანხილული შემდეგ თავებში, ახლა კი ავღნიშნავთ, რომ ის ამცირებს დანადგარის ღირებულებას, მაგრამ ასახება კონტრალურ ანგარიშზე **2250 „მანქანა დანადგარის ცვეთა“** კრედიტი.

ოპერაციის ბუღალტრული გატარება იქნება:

- დ. 7455 „ცვეთა და ამორტიზაცია“ - 60
ქ. 2250 „მანქანა დანადგარის ცვეთა“ - 60

2250	
„მანქანა-დანადგარების ცვეთა“	
ლ	ლ
	6-0
	11) 60
ბრ - 0	ბრ - 60
	6 - 60

7455	
„ცვეთა და ამორტიზაცია“	
ლ	ლ
11) 60	
ბრ - 60	

12. მარეგულირებელი გატარება დარიცხულ საპროცენტო ხარჯებთან დაკავშირებით (ვადასახდელი პროცენტები).

ანალიზი: კომპანიას აღებული აქვს სესხი, საიდანაც ბანკმა გამოიმუშავა ერთი თვის პროცენტები. განაკვეთი 12%-ია წელიწადში, ამიტომ ერთი თვის პროცენტის თანხა 4 ათ. ლარიდან შეადგენს 40 ლარს. 4.000-ის 12% = 480 ლარს, 480:12თვე = 40 ლარს ეს თანხა დებეტდება „საპროცენტო ხარჯები“-ს ანგარიშზე. გამომდინარე იქვდან რომ პროცენტები ჯერ კიდევ არ არის გადახდილი, კრედიტდება დარიცხული ვალდებულების ანგარიში “ვადასახდელი პროცენტები”.

ბუღალტრული გატარება იქნება:

- დ. 8210 „საპროცენტო ხარჯი“ - 40
ქ. 3410 „ვადასახდელი პროცენტები“ - 40

8210	
„საპროცენტო ხარჯი“	
ლ	ლ
12) 40	
ბრ - 40	ბრ - 0

3410	
„ვადასახდელი პროცენტები“	
ლ	ლ
	6-0
	12) 40
ბრ - 0	ბრ - 40
	6 - 40

პროცედურის გამარტივების მიზნით ეს ანგარიშებიც დავაჯამოთ და გავანაშოთ. ამ ოპერაციებით ყველა ანგარიში დაკორექტირებულია. როგორც შევთანხმდით, თუ ჩავთვლით, რომ საანგარიშო პერიოდი დასრულდა, მაშინ უნდა განხორციელდეს დასკვნითი გატარებები.

7 . 3 . დასკვნითი გატარებები

შემოსავლებისა და ხარჯების ტრანზიტული ანგარიშები, როგორც ვიცით წარმოადგენენ კაპიტალის (გაუნაწილებელი მოგების) შემადგენელ ნაწილებს. პერიოდის ბოლოს ისინი იხურებიან დროებით ანგარიშთან კოპესპონდენციით, რომელმაც უნდა შეაჯამოს შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციები. ამ ანგარიშს ეწოდება „საანგარიშებო პერიოდის მოვება-ზარალის“ შედევობრივი ანგარიში და ასახავს მოცემული საანგარიშებო პერიოდის წმინდა მოგებას ან ზარალს. ეს გამანაწილებელი ანგარიშია, რომელიც პერიოდის ბოლოს იხურება „გაუნაწილებელი მოვების“ ანგარიშთან კორესპონდენციაში და ამით სრულდება ანგარიშების დახურვის პროცედურა.

ანგარიშების დახურვის მიმდინარეობის დროს ხდება ყველა ტრანზიტული ანგარიშის ნაშთის გადატანა გამანაწილებელ ანგარიშზე. იმისათვის რომ დავხუროთ შემოსავლების ანგარიში, რომელიც ასახულია კრედიტში ჩაიწერება შემოსავლების ანგარიშის დებეტში და „საანგარიშებო პერიოდის მოვება-ზარალის“ კრედიტში. ამით შემოსავლების ანგარიშის ნაშთი ნულდება და მისი ყოფილი საკრედიტო ნაშთი გადადის „საანგარიშებო პერიოდის მოვება-ზარალის“ ანგარიშზე. მაგრამ სააღრიცხვო სისტემაში ასეთი გადატანა უნდა აისახოს ბუღალტრული გატარებით. იმისათვის, რომ გაირჩეოდეს პირველადი და მარეგულირებელი გატარებები დასკვნითი გატარებებისაგან, ეს უკანასკნელნი აღვნიშნოთ არა ციფრებით, არამედ ასოებით.

ა) „შემოსავლები რეალიზაციიდან“ ანგარიშის დახურვა.

განმარტება: ანგარიშს „შემოსავლები რეალიზაციიდან“ აქვს საკრედიტო ნაშთი 12.000 ლარი. ამიტომ ანგარიშზე 12.000 ლარის დადებულება გაანულებს ნაშთს ე.ო. დახურავს ანგარიშს. შესაბამისად დაკრედიტდება „მოვება ზარალის“ შედევობრივი ანგარიში.

ოპერაციის ბუღალტრული გატარება იქნება:

დ. 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ – 12.000

კ. 5330 „საანგარიშებო პერიოდის მოვება-ზარალი“ – 12.000

6110	
„შემოსავალი რეალიზაციიდან“	
ლ	დ
6) 12.000	
ა) 12.000	ბ) – 12.000
-	-

5330	
„საანგარიშებო პერიოდის მოვება-ზარ.“	
ლ	დ
ა) 12.000	

ხარჯების ანგარიშების დახურვა წარმოადგენს შემოსავლების ანგარიშების დახურვის „სარკისებურ ანარეგულის“. ხარჯების ანგარიშზე ბრუნვები ასახულია დებეტში ამიტომ მისი დახურვა მოხდება საპირისპირო ჩანაწერით კრედიტში და შედეგი გადაიტანება „მოგება-ზარალის“ ანგარიშზე.

ბ) „რეალიზებული საქონლის თვითლირეგულების“ ანგარიშის დახურვა.

განმარტება: ანგარიშის სადებუტო ნაშთია 6.000 ლარი. საკრედიტო გატარება 6.000 ლარი დახურავს ამ ანგარიშს. შესაბამისად დადებუტდება „მოგება-ზარალის“ შედეგობრივი ანგარიში.

ოპერაციის ბუღალტურული გატარება იქნება:

- | | |
|---|---|
| დ. 5330 „საანგარიშებო პერიოდის მოგება-ზარალი“ – 6.000 | გ. 7200 „რეალიზებული საქონლის თვითლირეგულება“ – 6.000 |
|---|---|

7200	
„რეალიზ. საქ. თვითლირეგულება“	
დ	გ
7) 6.000	
ბრ – 6.000	გ) 6.000
-	-

5330	
„საანგარიშებო პერიოდის მოგ/ზარ.“	
დ	გ
ა) 12.000	
გ) 6.000	
-	-

ასევე დაიხურება ხარჯების სხვა ანგარიშებიც

გ) „სხვა საერთო ხარჯის“ დახურვა:

- | | |
|---|-----------------------------------|
| დ. 5330 „საანგარიშებო პერიოდის მოგება-ზარალი“ – 450 | გ. 7490 „სხვა საერთო ხარჯი“ – 450 |
|---|-----------------------------------|

7490	
„სხვა საერთო ხარჯი“	
დ	გ
გ) 450	
ბრ – 450	გ) 450
-	-

5330	
„საანგარიშებო პერიოდის მოგ/ზარ.“	
დ	გ
ა) 12.000	
გ) 6.000	
-	-

დ) „საიჯარო ქირის“ ხარჯის დახურვა:

- | | |
|---|------------------------------|
| დ. 5330 „საანგარიშებო პერიოდის მოგება-ზარალი“ – 750 | გ. 7420 „საიჯარო ქირა“ – 750 |
|---|------------------------------|

7420	
„საიჯარო ქირა“	
დ	გ
10) 750	
ბრ – 750	დ) 750
-	-

5330	
„საანგარიშებო პერიოდის მოგ/ზარ.“	
დ	გ
ა) 12.000	
დ) 6.000	
-	-

3) „ცვეთის ხარჯის” დახურვა:

- დ. 5330 „საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი” - 60
 ქ. 7455 „ცვეთა და ამორტიზაცია” - 60

7455	
„ცვეთა და ამორტიზაცია”	
ლ	გ
II) 60	
ბრ - 60	ქ) 60
-	-

5330	
„საანგარიშგებო პერიოდის მოგ/ზარ.”	
ლ	გ
	ა) 12.000
ბ) 6.000	
ბ) 450	
ღ) 750	
ქ) 60	

3) „საპროცენტო ხარჯის” დახურვა:

- დ. 5330 „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი” - 40
 ქ. 8210 „საპროცენტო ხარჯი” - 40

8210	
„საპროცენტო ხარჯი”	
ლ	გ
12) 40	
ბრ - 40	ქ) 40
-	-

5330	
„საანგარიშგებო პერიოდის მოგ/ზარ.”	
ლ	გ
	ა) 12.000
ბ) 6.000	
ბ) 450	
ღ) 750	
ქ) 60	
ქ) 40	

ამ ოპერაციებით დასრულდა დროებითი ანგარიშების დახურვა და ყველა ხარჯი და შემოსავალი თავმოყრილია „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის” ანგარიშზე. ყურადღება მიაქციეთ, რომ ჩვენ არ შევნებივართ მუდმივ ანგარიშებს, ისინი არ იხურება, მათი ნაშთები აისახება ბალანსში და გადადის შემდგომ საანგარიშგებო პერიოდში, როგორც საწყისი ნაშთი.

ახლა გავანაშთოდ „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიში” და გავარკვიოთ რა შედეგი დაგვრჩნა

5330	
„საანგარიშგებო პერიოდის მოგ/ზარ.”	
ლ	გ
	ა) 12.000
ბ) 6.000	
ბ) 450	
ღ) 750	
ქ) 60	
ქ) 40	
ბრ - 7.300	ბრ - 12.000
	ნ - 4.700

გ) „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის” ანგარიშის საკრედიტო ნაშთი გვიჩვენებს, რომ კომპანიამ 4.700 ლარის მოგება მიიღო, რომელზეც კომპანიამ კიდევ უნდა გაწიოს ხარჯი. ეს გახლავთ მოგების (საშემოსავლო) გადასახადი, რომელიც ყველა ქვეყნაში საგადასახადო კანონმდებლობით განისაზღვრება. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით ის 15%-ია დასაბუღრი მოგების (ამ საკითხებს მოგვიანებით დაწერილებით განვიხილავთ).

ეს ოპერაციაც მარეულირებული გატარებაა და შეძლევნაირად აისახება.

დ. 9210 „მოგების გადასახადი” - 705

ქ. 3310 „გადასახდელი მოგების გადასახადი” - 705

9210 „მოგების გადასახადი”	
ლ	ქ
გ) 705	
ბრ - 705	

3310 „გადასახდელი მოგების გადასახადი”	
ლ	ქ
	6-0
	გ) 705
ბრ - 0	ბრ - 705
	6 - 705

მ) ანგარიში „მოგების გადასახადი” დროებითი ანგარიშია ისიც უნდა დაიხუროს „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის” ანგარიშს ზე.

დ. 5330 „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი” - 705

ქ. 9210 „მოგების გადასახადის ხარჯი” - 705

9210 „მოგების გადასახადი”	
ლ	ქ
გ) 705	
ბრ - 705	მ) 705
-	-

5330 „საანგარიშგებო პერიოდის მოგ/ზარ.”	
ლ	ქ
	ს) 12.000
გ) 6.000	
გ) 450	
ლ) 750	
ვ) 60	
ვ) 40	
ბრ - 7.300	ბრ - 12.000
მ) 705	6 - 4.700
	6 - 3.995

ნ) „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალის” ანგარიშზე დარჩენილი ბოლო ნაშთი 3.995 ლარი არის ამ პერიოდის წმინდა მოგება. მავრამ ეს ანგარიშიც დროებითი ანგარიშია და ისიც უნდა დაიხუროს მოგება კი უნდა გადავიდეს „გაუნაწილებელი მოგების” ანგარიშზე, რომელიც საბალანსო მუდმივი ანგარიშია.

დ. 5330 „საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი” - 3.995

ქ. 5310 „გაუნაწილებელი მოგება” - 3.995

5310		5330	
„გაუნაწილებელი მოვება”		„სანგარიშებო პერიოდის მოვ/ზარ.”	
ლ	ქ	ლ	ქ
	6-0		12.000
	<i>o) 3.995</i>	<i>δ) 6.000</i>	
ბრ - 0	ბრ - 3.995	<i>β) 450</i>	
	6 - 3.995	<i>ξ) 750</i>	
		<i>η) 60</i>	
		<i>ζ) 40</i>	
		ბრ - 7.300	ბრ - 12.000
		<i>ο) 705</i>	6 - 4.700
		<i>o) 3.995</i>	6 - 3.995
		-	-

7 . 4 . ფინანსური ანგარიშგების მომზადება

კომპანია „X”-ის ბუღალტრული ჩანაწერებით უკვე შესაძლებელია **ფინანსური ანგარიშგების** მომზადება, რომელიც სწავლასხვა კომპანენტებისაგან შედგება. ჩვენ აქ მხოლოდ ორ მათვანს შევეხებით: **მოვება ზარალის ანგარიშგებას და ბალანსს.**

მოვამზადოთ **მოვება-ზარალის** ანგარიშის მარტივი მოდელი. მასში შეიტანება დროებითი ანგარიშგების ინფორმაციები (რომელსაც თვალსაჩინოებისათვის გვერდით მიუნიშებთ).

შპს „X”

მოვება-ზარალის ანგარიშგება

20IX წლისთვის **(ლარი)**

შემოსავალი რეალიზაციიდან	12000	(ანგ 6110)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6000	(ანგ 7200)
სურთო მოვება	6000	
კომუნალური ხარჯი	450	(ანგ 7490)
იჯარის ქირა	750	(ანგ 7420)
ცვეთის ხარჯი	60	(ანგ 7455)
საპროცენტო ხარჯი	40	(ანგ 8210)
მოვება დაბეგვრამდე	4700	
მოვების გადასახადის ხარჯი	705	(ანგ 9210)
სანგარიშო პერიოდის წმინდა მოვება	3995	

ასევე შეგვიძლია მოვამზადოთ საანგარიშო პერიოდის ბალანსი, რომელშიც შეიტანება მუდმივი ანგარიშების ნაშთები. გავითვალისწინოთ, რომ კომპანია „X” ახალი დაარსებულია და ბალანსში ანგარიშებზე საწყისი ნაშთები ნულის ტოლია. (იხ. სქემა №2).

სქემა №2

შპს “X”

ბალანსი

20X2 წლის 1 სექტემბრისთვის

აქტივები	თანხა	პასივები	თანხა
მიმდინარე აქტივები		მიმდინარე კალდებულებები	
ეროვნული კალუბა რეზიდენტ ბანკში	8.250	კალდებ. მოწოდ. და მომსახურებიდან	3.200
საქონელი	2.000	სხვა მოკლუვადიანი კალდებულებები	450
		საგადასახადო კალდებულებები	705
		საპროცენტო კალდებულება	40
სულ მიმდინარე აქტივები:	10.250	სულ მიმდინარე კალდებულებები:	4.395
გრძელვადიანი აქტივები		გრძელვადიანი კალდებულებები	
ძირითადი საშუალებები	7.140	გრძელვადიანი სესხები	4.000
სულ გრძელვადიანი აქტივები:	7.140	სულ გრძელვადიანი კალდებულებები:	4.000
		კაპიტალი	
		საწესდებო კაპიტალი	5.000
		გაუნაწილებელი მოგება	3.995
		სულ კაპიტალი:	8.995
სულ აქტივები:	17.390	სულ პასივები:	17.390

შენიშვნა: ძირითადი საშუალებები ბალანსში შეტანილია ცვეთის გამოკლებით:

$$7200 - 60 = 7140$$

ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში შევეცადეთ მარტივად აგვესსნა აღრიცხვის ციკლი: სამეურნეო ოპერაციებიდან - ფინანსურ ანგარიშგებამდე. თუმცა რამდენიმე სამეურნეო ოპერაცია იყო ასახული ამიტომ აღრიცხვის ციკლიც შედარებით მარტივად იყო წარმოდგენილი.

7 . 5 . სააღრიცხვო სისტემები


ოპტიმალური სააღრიცხვო სისტემა იქნება ის, რომელიც საუკეთესოდ უპასუხებს შემდეგ მოთხოვნებს:

- 1) ინფორმაციის დამუშავება უნდა იყოს ეფექტური, ე.ი. ნაკლები თვითღირებულებით.
- 2) ანგარიშგების მომზადება უნდა მოხდეს სწრაფად.
- 3) ინფორმაციას უნდა გააჩნდეს სიზუსტის მაღალი ხარისხი.

4) ფასეულობათა დატაცების ან მოტყუების შესაძლებლობა უნდა იქნას დაყვანილი მინიმუმამდე.

ქვემოთ მოცემულ სქემაზე მოკლედ არის წარმოდგენილი კომპანია „X”-ის სააღრიცხვო ციკლი. (იხ სქემა №3)

სქემა №3



ახლა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ ციკლის რამდენიმე ეტაპზე, კერძოდ: მესამე-სამეურნეო ოპერაციების სარეგისტრაციო ჟურნალები. მეოთხე-სამეურნეო ოპერაციები სხვა ანგარიშებზე და მეექვსე-საცდელი ბალანსი.

სამეურნეო ოპერაციების სარეგისტრაციო ჟურნალი

სამეურნეო ოპერაციების ქრონოლოგიური ჩაწერისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას ერთი ჟურნალი სადაც ყველა ოპერაცია თანმიმდევრობით აისახება. ჩვენს მაგალითში თუ ოპერაციებს ერთ ჟურნალში მოვათავსებთ იმ ნომრებითა და ბუღალტრული გატარებებით მივიღებთ „მთავარი ჟურნალის” ფორმას.

საილუსტრაციოდ იხილეთ სქემა №4

სარეგისტრაციო „მთავარი ჟურნალი”

თარიღი	№	ანგარიშის დასახლება	წიგნის გვერდი	ანგ. №	დებეტი	კრედიტი
01 აგვისტო	1	კაპიტალის შევსება „ეროვნული კალუტა რეზიდენტ ბანკში” „საწევდებო კაპიტალი”	01 30	1210 5150	5000	5000
01 აგვისტო	2	იჯარის თანხის წინასწარი გადახდა „წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა” „ეროვნული კალუტა რეზიდენტ ბანკში”	14 01	1720 1210	750	750
01 აგვისტო	3	სესხის აღება „ეროვნული კალუტა რეზიდენტ ბანკში” „გრძელვადის სესხი”	01 17	1210 4140	4000	4000
და ა. შ.		ჯამი:			9 750	9 750

თუ კომპანია იყენებს მთავარ ჟურნალს ყველა ოპერაცია აქ ტარდება და აქედან გადადის მთავარ წიგნში, რომელზეც მიუთითებს მეოთხე სვეტი სადაც აღნიშნულია ამ ანგარიშების შესაბამისი ფურცლის ნომერი მთავარ წიგნში.

თუ კომპანიას ბევრი ერთგვაროვანი ოპერაციები აქვს მაგ. გაყიდვები, შეძენები, ფულის მოძრაობა და ა.შ. შეიძლება აწარმოებდეს შესაბამის „საკუთალურ ჟურნალებს“ ასეთი განმეორებითი ოპერაციებისათვის და დანარჩენი ოპერაციებისათვის კი „საერთო ჟურნალს“.

ოპერაციების ასახვა ანგარიშებზე ბუღალტრულ წიგნში.

კომპანიას სამეურნეო ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე ასახვისათვის გახსნილი აქვს სპეციალური წიგნი - „მთავარი წიგნი“, სადაც თითოეულ ანგარიშს აქვს თავისი გვერდი. შედარებით დიდ კომპანიებს „მთავარი წიგნის“ გარდა აქვთ „დამხმარე წიგნები“ მაგ. დებიტორებისათვის, კრედიტორებისათვის და ა. შ.

თუ კომპანია იყენებს „დამხმარე წიგნს“ მაგ. დებიტორების აღსარიცხავად მაშინ ანალიზურად თითოეულ დებიტორს ენიჭება თავისი კოდი (ანალიზური ანგარიშის ნომერი) და დაწვრილებითი ინფორმაცია ყველა დებიტორის მიხედვით აისახება „დამხმარე წიგნში“. „მთავარი წიგნში“ კი ინფორმაცია გადაიტანება თვის ბოლოს ჯამურად. ამ შემთხვევაში „მთავარი წიგნში“ არსებული ანგარიში „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ იქნება საკონტროლო (სინთეზური) ანგარიში.

საცდელი ბალანსი.

ჩვენს მიერ განხილული მაგალითის მიხედვით: კომპანია „X”-ში, საცდელი ბალანსი ჩვენ მოვამზადეთ პერიოდის ბოლოს - პირველადი ჩანაწერების დასრულების შემდეგ ანგარიშების დაკორექტირებამდე, რათა დაგვედგინა ანგარიშებზე გატარებების საბალანსო ტოლობა. თუმცა პრაქტიკაში საცდელი ბალანსი ხშირად მზადდება მეორედ-კორექტირების, მარეგულირებადი გატარებების შემდეგ და მესამედაც-დროებითი ანგარიშების დაზურვის ოპერაციების შემდეგ, რომელშიც უკვე მხოლოდ საბალანსო ანგარიშები აისახება.

კომპიუტერული სისტემები.

უკანასკნელ პერიოდში კომპანიების უმეტესობა აღრიცხვისთვის მთლიანად იყენებს კომპიუტერულ სისტემებს, რომლებიც საგრძნობლად აიაფებს, ამარტივებს და მაღალეფექტურს ხდის აღრიცხვის თანამშრომელთა მუშაობას. ის აგრეთვე დიდ შესაძლებლობებს აძლევს მენეჯმენტს ეფექტურად გამოიყენოს დაგროვილი ინფორმაცია, როგორც ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად ასევე მართვის სხვა სფეროებში.

საალრიცხვო სისტემების განხილვა მხოლოდ ამით არ ამოიწურება. შემდგომ თემებში მაგალითების ამოხსნის დროს პრაქტიკულად გამოვიყენებთ მის სხვადასხვა ვარიანტებს.